LINGOSTAR

წესდება

წესები და პირობები

შეთანხმების საგანი

1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს Lingostar (შემდგომში მოხსენიებული, „ლინგოსთარი“) ოლიმპიადების ჩატარების წესებსა და პირობებს, აგრეთვე ოლიმპიადების მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის და მომსახურების გაწევის საკითხებს.

2.1 ოლიმპიადის მიზნებია:
ა) სასწავლო პროცესის სტიმულირება – სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესების გაღვივება;
ბ) სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის გამოყენებით, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება;
გ) მოსწავლეებმა სწავლის საწყის ეტაპზევე თვალნათლივ დაინახონ საკუთარი შრომისა და მონდომების შედეგი.
დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა.

2.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად "ლინგოსთარი" უზრუნველყოფს
ა) ტესტის შეფასების ობიექტური და უნიფიცირებული მეთოდების შემუშავებას;
ბ) ტესტირების ადმინისტრირებას;
გ) შედეგების მეთოდოლოგიურ და პროგრამულ გასწორებას.
დ) თითოეული მონაწილისთვის პერსონალური უკუკავშირის მიწოდებას.

3. ოლიმპიადების ჩატარების სტრუქტურა

3.1 „ლინგოსთარი“ ორგანიზებას უწევს ოლიმპიადას ინგლისურ ენაში, სასწავლო წელიწადში ორჯერ: გაზაფხულისა და

შემოდგომის სემესტრებში.

3.2 ოლიმპიადა ტარდება სამ ეტაპად: I ტური, II ტური - (ფინალური ტური) და გასაუბრება (გამარჯვებულის გამოვლენის დროს შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ეტაპის ჩატარება წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის შესაბამისად)
3.3 ოლიმპიადის ტესტირების ხანგრძლივობაა 40 წუთი.
3.4 ოლიმპიადის ჩატარების თარიღები და დრო გამოქვეყნდება ოლიმპიადამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდებზე.
3.5 ოლიმპიადის ჩატარების თარიღებსა და დროში შესაძლოა შევიდეს ცვლილებები, არა უგვიანეს ოლიმპიადის ჩატარებამდე 1 (ერთი) კალენდარული დღისა.
3.6 ოლიმპიადის ჩატარების საბოლოო განრიგი ქვეყნდება ლინგოსთარის ვებგვერდზე lingostar.ge, ამასთანავე, აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება ლინგოსთარის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ეგზავნებათ მონაწილეებს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ოლიმპიადის ჩატარებამდე სულ მცირე 1 კალენდარული

დღით ადრე მაინც.
3.7 ვინაიდან მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნისას “ლინგოსთარისგან” დამოუკიდებლად შესაძლოა შეიქმნას ქსელური ხარვეზი და შეტყობინება არ მიუვიდეს ადრესატს, ყველა მონაწილე ვალდებულია საბოლოო ინფორმაციის გადასამოწმებლად ეწვიოს ლინგოსთარის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდს, ან დაგვიკავშირდეს ცხელ ხაზზე: 571775505

4. რეგისტრაცია და ოლიმპიადაში მონაწილეობა

4.1 ოლიმპიადა ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X და XI-XII (მე-3 და მე-4 კლასელები, მე-5 და მე-6 კლასელები, მე 7 და მე-8 კლასელები, მე-9 და მე-10 კლასელები, მე-11 და მე 12 კლასელები გაერთიანებულნი არიან ერთ საკლასო კატეგორიაში) კლასის მოსწავლეთათვის.

4.2 ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად, მოსწავლემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია, ლინგოსტარის ვებგვერდზე - Lingostar.ge
4.3 ამ მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაცია მიმდინარეობს წინასწარ დაანონსებულ ვადებში.
4.4 მონაწილეს რეგისტრაციის დროს სისტემა მიანიჭებს კოდს, რომლის მითითებაც აუცილებელია როგორც ოლიმპიადებზე, ისე 5.1. პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის გადახდისას.

5. საფასური და თანხის დაბრუნების წესი

5.1 ოლიმპიადის პირველი, მეორე/ფინალურ ტურში და გასაუბრების ეტაპში მონაწილეობა ფასიანია. პირველი და მეორე /ფინალური ტურის ღირებულებაა 25-25 ლარი, ხოლო გასაუბრების ეტაპის ღირებულებაა - 15 ლარი.
5.2. მონაწილეს უფლება აქვს, მოითხოვოს ოლიმპიადისთვის ჩარიცხული საფასურის უკან დაბრუნება არა უგვიანეს შესაბამისი ტურის ჩატარებამდე 7 კალენდარული დღისა, სხვა შემთხვევაში ჩარიცხული თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა მიზნით გამოყენებას. თანხის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის მიღების თარიღად ითვლება მონაწილის მიერ ლინგოსთარის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე (info@lingostar.ge) გადახდის ქვითრის, გადამხდელის ანგარიშის ნომრის, პირადი ნომრის, სახელისა და გვარის მოწოდების თარიღი. თანხა ბრუნდება ინფორმაციის სწორად მოწოდებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.3. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებული საფასურის გადახდა წარმოებს ოლიმპიადის , შესაბამისი ტურის ჩატარების დრომდე.
5.4. ამ მუხლის 5.1 პუნქტის გათვალისწინებით გადახდილი ოლიმპიადის საფასურის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მიმდინარე სეზონის განმავლობაში.

6. პერსონალური მონაცემების დამუშავება
6.1. ოლიმპიადაზე რეგისტრაციით მომხმარებელი (ოლიმპიადის 16 წელს მიღწეული მონაწილე, 16 წლამდე ასაკის მონაწილის მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი)„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს თანხმობას რეგისტრაციისას მითითებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.
6.2. ლინგოსთარს აქვს უფლება, დაამუშაოს ყველა ის ინფორმაცია, რაც რეგისტრაციისას მიუთითა მომხმარებელმა, ან/და “ლინგოსთარის” მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო პროექტებისა თუ ღონისძიებების, ოლიმპიადების მიმდინარეობისას, ან სხვა ფორმით გადასცა მომხმარებელმა “ლინგოსთარის” წარმომადგენელს.
6.3. “ლინგოსთარს” უფლება აქვს დაამუშავოს 6.1. და 6.2. მუხლების შესაბამისად მოპოვებული პერსონალური მონაცემები, ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით
6.4. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებია:
6.4.1. საგანმანათლებლო სერვისების, სიახლეების, ღონისძიებების, ვორქშოპების, პრიზების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
6.4.2. მარკეტინგული კამპანიების ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება; 6.4.3.
პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება;

6.4.4. სტატისტიკის წარმოება;
6.4.5. პროდუქტების, მომსახურებისა და ვებგვერდის განვითარება;
6.4.6. გადახდების განხორციელება და ადმინისტრირება;
6.4.7. ლინგოსთარი იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლების მიერ გადმოცემული პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.
6.4.8 "ლინგოსთარი" უფლებამოსილია გასცეს "მომხმარებლის" პერსონალური მონაცემები კანონმდებლობის მოთხოვნით ან/და სამართლებრივ დავებში საკუთარი ინტერესების დასაცავად, ან/და კომპანიის რეორგანიზაციის, შერწყმის ან გაყიდვის შედეგად;
6.4.9 "ლინგოსთარი" უფლებამოსილია დაამუშაოს "მომხმარებლის" პერსონალური მონაცემები მესამე პირთა სასარგებლოდ, კერძოდ გასცეს ან/და გაამჟღავნოს აღნიშნული მონაცემები მესამე პირთა მარკეტინგული, სარეკლამო, საინფორმაციო ან სხვა სახის კომერციული მიზნებისთვის. 6.5. მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიხმოს ამ მუხლის 6.1. და 6.2. მუხლების მიხედვით გადმოცემული თანხმობა. ამისათვის, მომხმარებელმა უნდა გადმოგზავნოს აღნიშნული მოთხოვნის წერილი, პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე, თანდართული მონაცემებით მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის, ელ-ფოსტაზე info@lingostar.ge
6.6. "ლინგოსთარი" შეწყვეტს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებას 6.5. მუხლით გათვალისწინებული წერილის მიღებიდან არაუმეტეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ოლიმპიადის ტურების ჩატარების ფორმა

7.1 ოლიმპიადა ტარდება ტესტირების მეშვეობით, სპეციალურ ვებგვერდზე,
7.2 ტესტირების მიმდინარეობის პროცესში მოხდება თითოეული მონაწილის ფოტო ვიდეო გადაღება. (გადაღებული მასალა კონფიდენციალურია და არ გასაჯაროვდება უცხო პირებზე)
7.3 ოლიმპიადის ყოველ ტურზე თითოეული მონაწილის ტესტური ნაშრომი დაშიფრულია ინდივიდუალური სისტემით, რაც უზრუნველყოფს ოლიმპიადის მონაწილის კონფიდენციალურობას.
7.4 ტესტირება, ოლიმპიადის ტურების შესაბამისად, ტარდება თითოეული საკლასო კატეგორიისთვის ერთდროულად (მაგ. მთელ საქართველოში ყველა მესამე კლასელს ერთდროულად და სხვ.)
7.5 თითოეული ტურის ტესტირების შედეგები ქვეყნდება ოლიმპიადიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.6 ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროა მონაწილემ გადალახოს პირველ ტურში დაწესებული ქულათა ბარიერი, რომელიც შეადგენს მაქსიმალურ ქულათა რაოდენობის 30% - ს.

8. ტესტები და ტესტირება
8.1 ოლიმპიადის თითოეული ტურისთვის ტესტებს და შესაბამის შეფასების სქემებს შეიმუშავებს ,,ლინგოსთარი". ტესტის მასალის 70%- ზე მეტი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხოლო დარჩენილი ნაწილი (30%) კი - შესაბამისი ასაკობრივი დონის კლასგარეშე მასალას.
8.2 ოლიმპიადის თითოეული ტურისთვის შეირჩევა განსხვავებული სირთულის ტესტი კონკრეტული კლასის შესაბამისად.
8.3 თითოეული ტესტის მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა გაწერილია ტესტის დაწყებამდე ტესტირების ვებგვერდზე.
8.4 ოლიმპიადის თითოეული ტურის ხანგრძლივობაა 40 წუთი;
8.5 ოლიმპიადის მონაწილე ვალდებულია:
ა) დროულად შემოვიდეს ტესტირებაზე. ტესტირებაზე დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს არ დაემატება დრო.
ბ) დაიცვას წესდება, კეთილსინდისიერად იმუშავოს ტესტზე.
გ) შეასრულოს ამ წესით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და ოლიმპიადის პროცესის მონაწილის ცალკეული მითითებანი.
8.6 ტესტირების მსვლელობისას ოლიმპიადის მონაწილეს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის, ან სხვა ელექტრონული აპარატურის გამოყენება; (გარდა ტესტირებისთვის განკუთვნილი საიტის გამოყენებისა)
ბ) ტესტირებაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება;
გ) დახმარების მიღება სხვა პირისგან რაიმე ფორმით.
დ) ტესტირების განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვება.
8.8 ამ მუხლის 8.6. პუქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში "ლინგოსთარის" ადმინისტრაცია უფლებამოსილია მონაწილე ჩახსნას კონკურსიდან.

9. ოლიმპიადის შედეგები და გასაჩივრების წესები
9.1 მონაწილეს საკუთარი შედეგის ნახვა შეუძლია ტესტირების დასრულების შემდეგ
9.2 ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროა მონაწილემ გადალახოს პირველ ტურში დაწესებული ქულათა ბარიერი, რომელიც შესადგენს მაქსიმალურ ქულათა რაოდენობის 30%-ს.

9.3 ოლიმპიადის ყოველი ტურის შედეგების თაობაზე წარმოშობილი დავები განიხილება “ლინგოსთარის” მიერ შექმნილი ოლიმპიადის საპრეტენზიო კომისიის მიერ;
9.4 ოლიმპიადის მონაწილეს უფლება აქვს ტესტის შეფასების თაობაზე წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი, ტესტირების დასრულებიდან, 2 კალენდარული დღის ვადაში.

9.5 საპრეტენზიო განაცხადი უნდა გამოიგზავნოს ლიგოსთარის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@lingostar.ge)
9.6 ოლიმპიადის მონაწილის საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს ტესტის იმ დავალების ნომერი, რომლის თაობაზეც წარდგენილია პრეტენზია.
9.7 საპრეტენზიო განაცხადი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ არგუმენტებს საჩივრის გასამყარებლად.
9.7 საპრეტენზიო კომისია განიხილავს მხოლოდ ტესტის იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო კომისია საპრეტენზიო განაცხადს განიხილავს სააპელაციო პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
9.8 საპრეტენზიო კომისია არ განიხილავს ტესტის იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელშიც პასუხი არ არის დაფიქსირებული ან შემოხაზულია ორი ან მეტი ვარიანტი;
9.9 საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, "ლინგოსთარი" უფლებამოსილია დაარედაქტიროს ტესტირების შედეგები მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე;
9.10 მეორე, ანუ ფინალური ტურის საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შემდეგ, დგება ოლიმპიადის მონაწილეთა რეიტინგული სია თითოეული ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, რომლის საფუძველზეც ვლინდება, შესაბამის საკლასო კატეგორიაში, მიღებული ქულათა საუკეთესო 20% (ან მასთან გათანაბრებული) ქულის მქონე მონაწილე - ფინალისტები, რომლებიც გაივლიან გასაუბრების ეტაპს.
9.11 გამსვლელი ქულები, ყველა საკლასო კატეგორიისთვის, ქვეყნდება ვებ -გვერდზე სიახლის სახით.
9.12 გასაუბრებები ჩატარდება, წინასწარ დაგეგმილ ვადებში, გასაუბრების დროები და ფორმატი წინასწარ ეცნობება ყველა მონაწილეს ინდივიდუალურად, გასაუბრებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა.

9.13 გასაუბრება ჩატარდება სპეციალური შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით

9.14 თითოეულ კრიტერიუმში მიღებული ქულა დაჯამდება და გამოვლინდება თითოეულ ასაკორივ კატეგორიაში 3, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი მონაწილე.

9.15 გამარჯვებულების გამოცხადება ხდება დაჯილდოვების ცერემონიაზე, ის მონაწილე, რომელიც არ გამოცხადდება დაჯილდოვებაზე. ეთიშება კონკურსს.

9.16 ლინგოსთარი იტოვებს უფლებას მოახდინოს გასაუბრებების ვიდეო ჩანაწერის გაკეთება 9.16

გასაუბრებების ვიდეო ჩანაწერები ინახება 1 თვის განმავლობაში.

10. სუპერფინალი
10.1 ამ მუხლის 9.10. პუნქტით გათვალისწინებული წესით, თუკი გასაუბრების ეტაპის შედეგების დამთხვევის გამო ვერ ვლინდება თითო საკლასო კატეგორიაში 1 საუკეთესო მონაწილე, ინიშნება გასაუბრების დამატებითი ეტაპი - სუპერფინალი. რომლის შედეგად ვლინდება საკლასო კატეგორიის საუკეთესო მონაწილე - გამარჯვებულები.

11. ოლიმპიადის მონაწილეთა დაჯილდოება
11.1 წინამდებარე წესდების 9.10. მუხლის შესაბამისად, თითოეული მოსწავლე მიიღებს დამსახურებულ დიპლომს/სერტიფიკატს ციფრულ ფორმატში, პირველი ტურის შემთხვევაში, საგამოცდო საიტზე ტესტირების გავლისთანავე ასევე რეგისტრაციისას მითითებულ მეილზე. მეორე ტურის შემთხვევაში ფინალისტებს დიპლომები საბოლოო რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ გამოუჩნდებათ პირად პროფილებში ლინგოსტარის ვებგვერდზე. დიპლომების გაცემის

კრიტერიუმები შემდეგია:
თითოეულ საკლასო კატეგორიაში მიღებული ქულების:

100%-91% - 3 ვარსკვლავიანი ABSOLUTE CHAMPION წითელი ფერის დიპლომი
90%-71% - 2 ვარსკვლავიანი TOP PERFORMER ლურჯი ფერის დიპლომი
70%-41% - 1 ვარსკვლავიანი EXCELLENT ოქროსფერი დიპლომი
40% და ნაკლები - Encouragement Award სერტიფიკატი

11.2 წინამდებარე წესდების მე 9 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გამოვლენილი რეიტინგის საუკეთესო 200 მონაწილე მიწვეული იქნება „ლინგოსთარის“ მიერ ორგანიზებულ დაჯილდოების ღონისძიებაზე, სადაც გადაეცემა კუთვნილი სერტიფიკატები და წამახალისებელი პრიზები.
11.3 წინამდებარე წესდების მე-9 და მე 10 მუხლებით გათვალისწინებული გამარჯვებული მონაწილეები, რომლებიც ვერ გამოცხადდებიან დაჯილოდების ღონისძიებაზე, მიღებული პრიზები და სერტიფიკატები უნდა გაიტანონ 3 (სამი) თვის განმავლობაში, "ლინგოსთარი"ს სათაო ოფისიდან (თბილისი, კოსტავას 47). ლინგოსთარი არ იტოვებს პრიზების და სერტიფიკატების 3 (სამ) თვეზე დიდხანს შენახვის ვალდებულებას.